ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

6 ოქტომბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №92

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ცვლილება შევიდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ 138-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.საკრებულოს წევრებს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა), უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შესაბამისის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, აუნაზღაურდეთ საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და განისაზღვროს ზღვრული ოდენობა თვეში 400(ოთხასი) ლარი.

2.საკრებულოს თითოეული წევრისათვის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა მოიცავს:

ა) ამომრჩეველთან შეხვედრების, მათი მიღების, წერილების, წინადადებების, საჩივრების განხილვის, აქედან გამომდინარე საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი და სახელმწიფო ორგანოებისათვის მიმართვის, სატრანსპორტო ხარჯების - 100(ასი) ლარი;

ბ)საკრებულოს სხდომებში, კომისიებში, ფრაქციებში, დროებით სამუშაო ჯგუფებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მიღების და ინიციირებისათვის, სატრანსპორტო ხარჯების - 180 (ასოთხმოცი) ლარი;

გ) სხვა ხარჯებისათვის (საკანცელარიო, ინტერნეტი, საფოსტო, ქსეროასლების გადაღება, კვების ხარჯი);

დ) საკომუნიკაციო ხარჯების -20 (ოცი) ლარი.

3.ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ხარჯების ანაზღაურება განისაღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მიწოდებული ინფორმაციის (მოხსენებითი ბარათის) საფუძველზე.

4.საკრებულოს წევრს საკრებულოს სხდომის გაცდენისთვის, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან დაექვითოს (30) ლარი, ხოლო საკრებულოს კომისიის ყოველი სხდომის გაცდენისთვის 15 (თხუთმეტი) ლარი.

მუხლი 2.

ცვლილება შევიდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-20 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საკრებულოს ბიუროს სხდომებს იწვევს და უძღვება საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს ბიუროს სხდომები იმართება თვეში ერთხელ მაინც საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად. ბიუროს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით, კომისიის ან ფრაქციის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე ვრცელდება ამ რეგლამენტის 51-ე მუხლის 2-5 პუნქტით დადგენილი წესები.

მუხლი 3.

ცვლილება შევიდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-20 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „კომისიის სხდომებს იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო რეგლამენტის 26-ე მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით კომისიის წევრი. კომისიის სხდომები იმართება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, თვეში ერთხელ მაინც, კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად“.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: მარინე ბერაძე